სამოქალაქო მოძრაობების კომუნიკაციის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე „გავრილოვის ღამის“ მაგალითზე

გიორგი კერძაია

ეკა გოგალაძე

მაგდა ლომაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნესის ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

ვაცხადებთ, რომ ნაშრომი „სამოქალაქო მოძრაობების კომუნიკაციის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე „გავრილოვის ღამის“ მაგალითზე“ წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი კერძაია

ეკა გოგალაძე

მაგდა ლომაშვილი

03.07.2021

აბსტრაქტი

სამოქალაქო მოძრაობების არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში არსებული სამოქალაქო მოძრაობებიდან გამოვყავით მოძრაობა „სირცხვილია“ და მის მაგალითზე, „გავრილოვის ღამის“ მოვლენების გარშემო შევისწავლეთ სამოქალაქო მოძრაობების კომუნიკაციის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

ნაშრომის მიზანია, გამოვავლინოთ კომუნიკაციის სწორი მიგნებები და ასევე არაეფექტური სტრატეგიები, რამაც განაპირობა საზოგადოების სამოქალაქო ჩართულობის ხარისხი. კვლევისას ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზატორებთან და ფოკუს ჯგუფები იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, თუმცა მათი ერთი ნაწილი ჩართული იყო აქციებში, მეორე ნაწილი კი თავს იკავებდა მონაწილეობისგან და მხოლოდ თვალს ადევნებდა მიმდინარე პროცესებს. კვლევამ აჩვენა, რომ სწორი გზავნილები, პოზიტიური კომუნიკაცია იწვევს საზოგადოებაში ემპათიის გაზრდას და შესაბამისად განაპირობებს მათ ჩართულობას სამოქალაქო პროტესტსა და დემონსტრაციებში. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა „სირცხვილია“ ეხმაურებოდა ქვეყანაში არსებულ პრობლემებს და მათი ღირებულებები თანხვედრაში მოდიოდა საზოგადოების უდიდეს ნაწილთან, მათი გაიგივება გარკვეულ პარტიულ ინტერესებთან გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელმაც მონაწილეობა არ მიიღო საპროტესტო აქციებში. სწორედ ეს მიგნებები აღმოჩნდა საფუძველი გვემსჯელა და გვევარაუდა, რომ OSOR საკომუნიკაციო მოდელი, არ ამართლებს ჩვენ მიერ განხილულ სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითს, ისე როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაში.

ძირითადი საკვანძო ტერმინები: სამოქალაქო მოძრაობა, აქტივიზმი, „სირცხვილია“, გავრილოვის ღამე, კომუნიკაცია, დემონსტრაცია, პროტესტი

Abstract

The existence of social movements represents an important component of a democratic country. From the modern social movements in Georgia, we chose the "Shame Movement" and the events of "Gavrilov's Night" for our research topic. The aim of our study was to find out, how the communication strategies of this particular movement influenced the formation of public opinion.

The main goal of our study was to determine, on the one hand, correct findings in communication and on the other, the non-effective strategies, which conditioned the engagement level of the people. For this purpose, we held in-depth interviews with organizers of the "Shame Movement". Also, we formed focus groups consisting of young people, who were actively informed about protests of the movement. On the one hand, we had a group of young people, who were engaged in demonstrations, and on the other, we had a team of young adults who were just getting news about the process but were not actively engaged in these demonstrations.

The study has shown that correct messages and positive communication enable the growth of social empathy and consequently, conditions their engagement in social protests and demonstrations. Despite that, the responses of the "Shame Movement" to the current problems in the country and their values collided with the views and values of the majority of the society. However, their association with certain political parties turned out to be a crucial factor for the part of the society, which did not take part in the protests.

Based on our findings, we were able to make an assumption that the OSOR model that are effective for foreign social activists, are not effective for Georgian social activism.

Keywords: Social Movement, Activism, "Shame Movement", Gavrilov's Night, Communication, Demonstrations, Protest

მადლობა

მადლობა კვლევაში ჩართულ მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზატორებს და ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს. განსაკუთრებული მადლობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორ, ნინო დანელიას.